მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

მაისი, 2023

ძირითადი ცვლილებები

- 2023 წლის აპრილში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 7.5 პროცენტი, ხოლო 2023 წლის 4 თვის საშუალო ზრდა 7.3 პროცენტზე დაფიქსირდა

- მაისში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 1.5 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 4.0 პროცენტს

- აპრილში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 20.4 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 15.3 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 11.6 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 643 მლნ აშშ დოლარს

- აპრილის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გამყარდა 18.7 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 1.8 პროცენტით წინა თვესთან

- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10.5 პროცენტამდე შეამცირა

აპრილში ეკონომიკურმა ზრდამ 7.5 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ



- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 7.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2023 წლის I კვარტლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 7.2 პროცენტია. სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ აპრილში წინა თვესთან შედარებით 1.0 პროცენტი შეადგინა.
- 2023 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ვაჭრობა.
- კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის და უძრავი ქონების დარგებში.

ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



ეკონომიკური ზრდა 2023-2019



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2022 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 9.5 პროცენტით





წყარო: საქსტატი

- წინასწარი შეფასებით, 2022 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკა 9.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 9.7 პროცენტით. 2022 წლის მეოთხე კვარტლის ზრდა 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 10.4 პროცენტიან ზრდას გულისხმობს.
- 2022 წლის მეოთხე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 60.9% წ/წ (2.7 პ.პ.)
  - შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები: 59.1% წ/წ (0.05 პ.პ.)
  - მშენებლობა 27.9% წ/წ (1.6 პ.პ.)
  - ტრანსპორტი და დასაწყობება: 25.3% წ/წ (1.7 პ.პ.)
  - სამთომოპოვებითი მრეწველობა: 22.5% წ/წ (0.3 პ.პ.)
  - ხელოვნება, გართობა და დასვენება: 16.8% წ/წ (0.2 პ.პ.)
  - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
  - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი : 13.8% წ/წ (0.7 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: -8.7 წ/წ (-1.1 პ.პ.)
  - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები: -8.8 წ/წ (-0.6 პ.პ.)

მაისის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 1.5 პროცენტი

მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ



ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 11.6 პროცენტით

ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ



იმპორტის ცვლილება, % წ/წ



- აპრილში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 20.4 პროცენტით და გაუტოლდა 501 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 31.6 პროცენტით და გაუტოლდა 220 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 15.3 პროცენტით და გაუტოლდა 1 144 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 11.6 პროცენტით და გაუტოლდა 643 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 44.9 პროცენტი (199.4 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიტანა უარყოფითი 20.7 პროცენტიანი წვლილი (-55.5 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა 3.9, 3.5 და 2.4 პროცენტი, შესაბამისად.

ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საერთაშორისო ვაჭრობა ხასიათდება სტაბილური დივერსიფიკაციით

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, აპრილი



იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %

იმპორტი ქვეყნების მიხედვით, აპრილი



- **ექსპორტის ტოპ საქონელი:**
  - მსუბუქი ავტომობილები: 183.3 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 36.6 პროცენტი.
  - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 52.1 მლნ აშშ დოლარი - 10.4 პროცენტი.
  - ყურძნის ნატურალური ღვინოები: 22.1 მლნ. აშშ დოლარი - 4.4 პროცენტი.
- **იმპორტის ტოპ საქონელი:**
  - მსუბუქი ავტომობილები: 139.3 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 18.8 პროცენტი.
  - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 66.4 მლნ აშშ დოლარით - 6.1 პროცენტი.
  - სამკურნალო საშუალებები დაფასოებული: 40.4 მლნ აშშ დოლარით - 3.7 პროცენტი.
- **ექსპორტის ტოპ ქვეყნები:**
  - აზერბაიჯანი: 81.3 მლნ. აშშ დოლარი - 16.2 პროცენტი.
  - ევროკავშირის ქვეყნები: 75.9 მლნ. აშშ დოლარი - 15.1 პროცენტი.
  - სომხეთი: 63.9 მლნ. აშშ დოლარი, 12.8 პროცენტი.
- **იმპორტის ტოპ ქვეყნები:**
  - ევროკავშირის ქვეყნები: 278.5 მლნ. აშშ დოლარი - 25.5 პროცენტი.
  - თურქეთი: 211.0 მლნ. აშშ დოლარი - 19.3 პროცენტი.
  - რუსეთი: 131.9 მლნ. აშშ დოლარი - 12.1 პროცენტი.

წყარო: საქსტატი

რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების შედეგად იზრდება ფულადი გზავნილები

წმინდა ფულადი გზავნილები, 2023-2019



წმინდა ფულადი გზავნილები, აპრილი 2023

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, პპ
რუსეთი	156.3	19.9	9.2
იტალია	40.0	21.9	2.5
აშშ	32.5	34.8	3.0
საბერძნეთი	19.0	10.9	0.7
ყაზახეთი	18.7	-2.0	-0.1
გერმანია	17.1	51.1	2.0
სხვა	57.7	20.2	3.7

- 2023 წლის აპრილში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 341.3 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20.7 პროცენტით მეტია, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი 189.3 პროცენტით.
- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
  - გერმანია: 51.1 პროცენტი (2.0 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - აშშ: 34.8 პროცენტი (3.0 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - იტალია: 21.9 პროცენტი (2.5 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - რუსეთი: 19.9 პროცენტი (9.2 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
  - ყაზახეთი: -2.0 პროცენტი (-0.1 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



წყარო: სებ

აპრილში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წლიურად გამყარდა 18.7 პროცენტით

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში



შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

	31 მაისი, 2023	31 მაი 2023 - 1 იან 2023	31 მაი 2023 - 1 იან 2022
ევრო	2.7824	▲ 3.7%	▲ 25.8%
აშშ დოლარი	2.5919	▲ 4.2%	▲ 19.2%
თურქული ლირა	0.1271	▲ 13.5%	▲ 297.6%
რუსული რუბლი	0.0321	▲ 14.5%	▲ 19.6%
ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი	177.07	▲ 7.6%	▲ 35.0%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (აპრილი 2023)	152.32	▲ 4.9%	▲ 20.5%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)

მაისში შემოსავლები 8.1 პროცენტით აღემატება პროგნოზს

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, მაისი 2023



ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ



ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი



- 2023 წლის მაისში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,626 მლნ ლარი, რაც 8.1 პროცენტით აღემატება დაგეგმილ მაჩვენებელს.

- 2023 წლის აპრილში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 71.4 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 10.8 პროცენტით.

- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 668.3 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა 265.5 მლნ ლარით.

- 2023 წლის აპრილში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა 7.5 და 4.0 პროცენტიანი კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ განიცადა მცირე ცვლილება

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



გამოშვება და მოთხოვნა
მილიონი ლარი



ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (31 მაისი)



- 2023 წლის მაისში ჩატარდა 5 აუქციონი ჯამური გამოშვებით 240.7 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.71% შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის და 3, 5 და 7 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 40 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.
- 2023 წლის 31 მაისისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის დაახლოებით 25.1% ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფორტფელში ყველაზე დიდი წილი უკავია 1-დან 3 წლამდე ობლიგაციებს (დაახლოებით 37%).
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (აპრილი 1.73) შედარებით შემცირდა და 1.68 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ლარიზაციის ყველა მაჩვენებელმა ზრდა განაგრძო

სესხების ლარიზაცია





დეპოზიტების ლარიზაცია





- 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 55.8 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 71 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 37.2 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 48.5 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 74.3 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 32.5 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 57.1 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 47.0 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 39.0 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სებ

სესხების წლიური ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება







- 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 13.7 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 11.3 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 15.6 პროცენტს შეადგენს.
- 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 15.8 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 11.2 პროცენტს გაუტოლდა.
- 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 14.9 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 23.5, ხოლო იპოთეკური სესხები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული 8.3 პროცენტით გაიზარდა.

წყარო: სებ

დეპოზიტების წლიური ზრდა კვლავ სტაბილურად მაღალია

დეპოზიტების წლიური ზრდა, %



დეპოზიტების წლიური ზრდა, &



დეპოზიტების წლიური ზრდა



- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2023 წლის 1 მაისის 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 28.4 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 39.1 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 19.7 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 31.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 30.7 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2023 წლის მაისის დასაწყისში შეადგინა 18.3 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 24.8 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 44.7 პროცენტი.

წყარო: სებ

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10.5 პროცენტამდე შეამცირა

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სებ

- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 10 მაისს რეფინანსირების განაკვეთი შეამცირა 10.5 პროცენტამდე.

- სებ-ს მიხედვით, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ გლობალურად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია და პანდემიისგან წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა. თუმცა ბოლო პერიოდში საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების დასტაბილურების ნიშნები იკვეთება. ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად ნავთობპროდუქტების ფასებმა დაიკლო. ამავდროულად, საერთაშორისო ტრანსპორტირების ფასები სწრაფი ტემპით შემცირებას განაგრძობს, რაც იმპორტირებული პროდუქტების ფასებზეც უნდა აისახოს. საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი უკვე გაიარა. მიმდინარე წლის მაისში ფაქტობრივმა ინფლაციამ 1.5 პროცენტი შეადგინა და სამიზნე ინფლაციას მკვეთრად ჩამოცდა. მას კვლავ შემცირების ტენდენცია აქვს. მოსალოდნელია, რომ, გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, აღნიშნული გლობალური ტენდენციები ეტაპობრივად ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა, რამაც ინფლაციის კიდევ უფრო შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი.

- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2023 წლის 19 ივნისს ჩატარდება.

- 2023 წლის მაისში ეროვნულ ბანკს სავალუტო ინტერვენციები აუქციონის მეშვეობით არ განუხორციელებია

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ვალუტით მცირედით გაიზარდა

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე





- 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 11.1 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 11.2 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 1.9 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.4 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 11.1 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.5 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 18.4 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.5 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.6 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.1 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2023 წლის მაისის ბოლოს 14.3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.1 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 6.6 პროცენტი.

წყარო: სებ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16
ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407
ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო